

დამტკიცებულია _____

შპს შავი ზღვის ბიზნესის აკადემიის
დირექტორის 2016 წლის 04 ივლისის
№ 11/01 ბრძანებით



შავი ზღვის ბიზნესის აკადემია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
მიღება-განთავსების სპეციალისტი

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. 116

ტელეფონი: (+995 422) 27 24 79

ვებ-გვერდი: www.bsba.ge

ელ-ფოსტა: bsbusinessacademy@gmail.com

პროგრამის ხელმძღვანელი: სერგო ტაბაღუა

ბათუმი
2016

- I. **სახელწოდება:** მიღება-განთავსების სპეციალისტი
- II. **სარეგისტრაციო ნომერი:** 10105-3
- III. **პროფესიული კვალიფიკაციის დონე ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით:** მესამე
- IV. **მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:** მიღება-განთავსების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
- V. **საკანონმდებლო ბაზა:**
- საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ
 - ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
 - მიღება-განთავსების სპეციალისტის პროფესიული სტანდარტი
- VI. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** საბაზო განათლება
- VII. **კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:**
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს სასტუმროში, სპა-ცენტრსა და სტუმარმასპინძლობის სხვა დაწესებულებებში.
- VIII. **პროგრამის მიზანი:**
პროგრამის მიზანია მოამზადოს პირი, რომელიც შეძლებს მიღება-განთავსების განყოფილებაში რიგითი თანამშრომლის ისეთი მოვალეობების შესრულებას, როგორებიცაა: ჯავშნის მიღება და სტუმრის მიღება-განთავსება.
- IX. **სწავლის შედეგები:**
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:
- სამუშაოს ორგანიზება
 - დაჯავშნის პროცედურების შესრულება
 - სტუმრის მიღება-გაწერის პროცედურის შესრულება
 - ცვლის მოვალეობებისა და აუდიტის შესრულება
 - სასტუმრის ძირითადი და დამატებითი მომსახურებებით უზრუნველყოფა
 - პრობლემური სიტუაციების მართვა
- X. **პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:**
- **მოცულობა:** 99 კრედიტი
 - **სავარაუდო ხანგრძლივობა:** 18 სასწავლო თვე /72 კვირა/

XI. პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:

სავალდებულო ზოგადი მოდულები		სავალდებულო პროფესიული მოდულები		არჩევითი პროფესიული მოდულები	
დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი
1. კომუნიკაცია	2	7. გაცნობითი პრაქტიკა-მიღება-განთავსების სპეციალისტი	2	18. რუსული ენა	4
2. რაოდენობრივი წიგნიერება	2	8. საწარმოო პრაქტიკა-მიღება-განთავსების სპეციალისტი	8	19. თურქული ენა	4
3. საინფორმაციო ტექნოლოგიები	2	9. პრაქტიკული პროექტი-მიღება-განთავსების სპეციალისტი	5	20. საადრიცხო მონაცემთა ბაზები	7
4. მეწარმეობა	4	10. სამუშაოს ორგანიზება მიღება-განთავსებაში	5		
5. პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები	1	11. სასტუმროს დაჯავშნის მომსახურება	5		
6. ინგლისური ენა	4	12. სტუმრის მიღება-განთავსება სასტუმროში	5		
7. ქართული ენა A2	15	13. ცვლის მოვალეობები და აუდიტი მიღება-განთავსების განყოფილებაში	5		
8. სამოქალაქო განათლება	2	14. სასტუმროს მომსახურებები	3		
		15. პრობლემური სიტუაციების მართვასტუმროში მიღება-განთავსების სპეციალისტისთვის	4		
		16. დარგობრივი ინგლისური ენა	5		
		17. სასტუმროს უსაფრთხოება	5		
სულ:	32	სულ:	52	სულ:	15

XII. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
 - ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
 - ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.
5. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.
6. შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დამლევის გარეშე.

XIII. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს შპს შავი ზღვის ბიზნეს აკადემიის პრეროგატივას. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი და პროფესიული სავალდებულო მოდულით გათვალისწინებული კრედიტები, ასევე არჩევითი პროფესიული მოდულებიდან 15 კრედიტი.

დანართი №1 - სასწავლო გეგმა

დანართი №2 - პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი

დანართი №3 - ზოგადი სავალდებულო მოდული „კომუნიკაცია“

დანართი №4 - ზოგადი სავალდებულო მოდული „რაოდენობრივი წიგნიერება“

დანართი №5 - ზოგადი სავალდებულო მოდული „საინფორმაციო ტექნოლოგიები“

დანართი №6 - ზოგადი სავალდებულო მოდული „მეწარმეობა“

დანართი №7 - ზოგადი სავალდებულო მოდული „პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები“

დანართი №8 - ზოგადი სავალდებულო მოდული „ინგლისური ენა“

დანართი №9 - ზოგადი სავალდებულო მოდული „ქართული ენა A2“

დანართი №10 - ზოგადი სავალდებულო მოდული „სამოქალაქო განათლება“

დანართი №11 - პროფესიული სავალდებულო მოდული „გაცნობითი პრაქტიკა-მიღება-განთავსების სპეციალისტი“

დანართი №12 - პროფესიული სავალდებულო მოდული „საწარმოო პრაქტიკა-მიღება-განთავსების სპეციალისტი“

დანართი №13 - პროფესიული სავალდებულო მოდული „პრაქტიკული პროექტი-მიღება-განთავსების სპეციალისტი“

დანართი №14 - პროფესიული სავალდებულო მოდული „სამუშაოს ორგანიზება მიღება-განთავსებაში“

დანართი №15 - პროფესიული სავალდებულო მოდული „სასტუმროს დაჯავშნის მომსახურება“

დანართი №16 - პროფესიული სავალდებულო მოდული „სტუმრის მიღება-განთავსება სასტუმროში“

დანართი №17 - პროფესიული სავალდებულო მოდული „ცვლის მოვალეობები და აუდიტი მიღება-განთავსების განყოფილებაში“

დანართი №18 - პროფესიული სავალდებულო მოდული „სასტუმროს მომსახურებები“

დანართი №19 - პროფესიული სავალდებულო მოდული „პრობლემური სიტუაციების მართვა სასტუმროში მიღება-განთავსების სპეციალისტისთვის“

დანართი №20 - პროფესიული სავალდებულო მოდული „დარგობრივი ინგლისური ენა“

დანართი №21 - პროფესიული სავალდებულო მოდული „სასტუმროს უსაფრთხოება“

დანართი №22 - პროფესიული არჩევითი მოდული „რუსული ენა“

დანართი №23 - პროფესიული არჩევითი მოდული „თურქული ენა“

დანართი №24 - პროფესიული არჩევითი მოდული „სააღრიცხვო მონაცემთა ბაზები“.